ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2175164

ნომერი: AR1338823

თარიღი : 04.09.2015

გაცემის თარიღი : 07.09.2015

გაცნობის თარიღი : 10.09.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ოქროყანა , (ნაკვეთი 02/068) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოშრევან ნამორაძე პ/ნ 01018000728
- ჯავახიშვილის 22

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2015 წლის 04 სექტემბრის AR1338823 განცხადება, რომლითაც ითხოთ მიწის ნაკვეთზე #01.18.01.002.106 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას და ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას გაცნობებთ, რომ ტერიტორია დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)–ში, სადაც განაშენიანების დომინირებული სახეობაა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები, ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები;
ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,5;
- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 0,8 ;
- მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,25.

აღნიშნული ნომენკლატურა (ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა) არ ითვალისწინებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას. იმისათვის რომ მომზადდეს მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით:#01.18.01.002.106) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, საკითხი განსახილველად უნდა დააყენოთ ახალ მშენებლობაზე და ნომენკლატურად აირჩიოთ >მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა, მოთხოვნის ტექსტში უნდა დააფიქსიროთ საპროექტო ქალაქმშენებლობითი პარამეტრები. რადგან საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)-ში აღნიშნული ფუნქციის შენობა–ნაგებობის განთავსება საჭიროებს სპეციალურ ზონალურ ნებართვას, საკითხს განიხილავს „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის და ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის თაობაზე, რისთვისაც განაცხადზე უნდა წარმოდგინოთ ქალაქგეგმარებითი დასაბუთება, ობიექტის ესკიზური ვარიანტი („რენდერის“, მოცულობის ელ. ვერსია) რომლის დაპროექტებასაც ფიქრობთ მითითებულ ტერიტორიაზე, ასევე შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა;
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება გამოსწორებული ხარვეზები, საკითხი დარჩეს განუხილველი. ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.